„საფარი"
თბილისი, ქანთარიას ქ. 11ა
ტელ.: 032 2307603
www.sapari.ge

Sapari / საფარი

ქალთა ქონებრივი უფლებები საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში

"ქალის და კაცის ქონებრივი უფლებები ერთმანეთის ტოლია."

მეუღლეთა ქონებრივი უფლებები

ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, თუმცა ამისათვის აუცილებელია რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა და მეუღლეების თანაცხოვრება. ჯვრისწერას ქორწინებად არ მიიჩნევს ჩვენი კანონმდებლობა.

ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მეუღლეების საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). მაშინაც კი, თუ ერთ-ერთი არ იყო დასაქმებული, ასრულებდა სახლის საქმეს, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, ოჯახური პირობები, სწავლა) არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები, თანასაკუთრების განკარგვა (გაქირავება, გაყიდვა, თხოვება) უნდა ხდებოდეს მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე;

ხშირად ერთ-ერთი მეუღლე მეორეს უკითხავად ან მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგავს ქონებას (მაგალითად, ყიდის, იპოთეკით ტვირთვის, აგირავებს). ასეთ დროს დაზარალებული მეუღლის მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს ორ შემთხვევაში: პირველი, დაზარალებული მეუღლე მოითხოვს გარიგების ბათილობას და დაამტკიცებს, რომ მესამე პირი - შემძენი იყო არაკეთილსინდისიერი; და მეორე, მოსთხოვოს მეუღლეს ზიანის ანაზღაურება.

მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება

გახსოვდეთ, რომ ქონება, რომელიც თქვენ გადმოგეცათ მემკვიდრეობით ან ჩუქებით ქორწინების განმავლობაში (ოქროულობა, მიწის ნაკვეთი, სახლი) წარმოადგენს თქვენს ინდივიდუალურ საკუთრებას. ასეთი ქონების განკარგვა (გამოყენება, გაქირავება, გაყიდვა, თხოვება და ა.შ.) შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ, მეუღლისგან დამოუკიდებლად.

განქორწინების შემთხვევაში, თქვენი კუთვნილი ინდივიდუალური საკუთრება არ გაიყოფა თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის, ის მხოლოდ თქვენია.

მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება გაიყოს მხოლოდ მაშინ, თუკი ქორწინების განმავლობაში მეუღლეები მნიშვნელოვნად გაზრდიან ინდივიდუალური საკუთრების ღირებულებას. მაგალითად თუ ნაკვეთზე აშენდა შენობა-ნაგებობა, ან თუ საფუძვლიანად გარემონტდა საცხოვრებელი სახლი.

ალიმენტი

ალიმენტს მშობლები შვილების სასარგებლოდ იხდიან. ალიმენტს იხდის ის მშობელი, რომელთანაც ბავშვი არ ცხოვრობს. შესაბამისად, მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, შეუძლია, სარჩელით მოითხოვოს ბავშვისთვის ალიმენტის და სხვა ხარჯების გადახდა (მაგალითად, ბავშვის ავადმყოფობის ხარჯები). გახსოვდეთ,რომ მოსარჩელე გათავისუფლებულია სასამართლო ბაჟის გადახდისაგან არის ალიმენტის შესახებ სარჩელზე.

ალიმენტის დაკისრებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მშობლები ქორწინებაში არიან თუ არა. თუ ბავშვის დაბადების მოწმობაში მითითებულია მხოლოდ დედის ვინაობა, დედას შეუძლია სასამართლოს მიმართოს მამობის დადგენის მოთხოვნით, ვინაიდან მხოლოდ აღიარებულ მამას შეიძლება დაეკისროს ალიმენტის გადახდა.

ალიმენტის ოდენობას სასამართლო წყვეტს. ალიმენტის დასადგენად სასამართლო არკვევს ორივე მეუღლის ქონებრივ მდგომარეობას და შემოსავლებისოდენობას. მშობელს ალიმენტის გადახდა დაეკისრება ბავშვის სრულწლოვანებამდე (18 წლის ასაკამდე). თუ მოსარჩელე უშედეგოდ ცდილობდა ალიმენტის მიღებას, მას შეუძლია სასამართლოს გზით მოითხოვოს განვლილი სამი წლის ალიმენტის ანაზღაურება.

გახსოვდეთ, რომ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული ალიმენტის ოდენობის მომავალში გაზრდის შესაძლებლობა სასამართლოს გზით; კერძოდ, მშობელს შეუძლია, მოითხოვოს უკვე დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაზრდა იმ მოტივით, რომ ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მისი აღზრდის, განათლებისა და რჩენისთვის საჭირო ხარჯების ოდენობა.

მემკვიდრეობა

არსებობს კანონით მემკვიდრეობა და ანდერძიდთ მემკვიდრეობა. კანონით მემკვიდრეობაა, როდესაც გარდაცვლილი პირის კუთვნილი ქონება მემკვიდრეობით გადაეცემა მის კანონით მემკვიდრეებს. ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მოანდერძემ მემკვიდრედ მოიხსენია ანდერძში და მემკვიდრეობით დაუტოვა რაიმე სახის ქონება.

დაიმახსოვრეთ, რომ ქალებს და კაცებს ერთნაირად ეკუთვნით მემკვიდრეობა. იმისთვის, რომ მემკვიდრე გახდეს სამემკვიდრეო ქონების მესაკუთრე, აუცილებელია, მან მიიღოს სამკვიდრო (ქონება), ამისათვის კი მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს ნოტარიუსს. თუ ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრე ნოტარიუსს ვერ მიმართავს, მაშინ უნდა დაადასტუროს ქონების ფაქტობრივი ფლობის ფაქტი (ფაქტობრივი დაუფლება ნიშნავსისეთ შემთხვევებს, როდესაც მემკვიდრე ცხოვრობს/აგრძელებს ცხოვრებას სამემკვიდრეო სახლში, ფლობს ასეთი სახლის გასაღებს, ინახავს, უვლის, იყენებს სამამკვიდრეო ქონებას).მემკვიდრემ უნდა იზრუნოს, რომ სამკვიდრო მიიღოს ექვსი თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შესაძლოა, დაკარგოს უფლება სამკვიდრო ქონებაზე.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კავშირი „საფარი“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)